N26.1641.1798 განკარგულების I, II da III პირობების შესრულებასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ, კომპანიის მიერ წარმოდგენილი პროექტის შეთანხმებისა და მშენებობის ნებართვის მიღებისთვის განკარგულებით დადგენილი ყველა პირობა შესრულებული აქვს. მათ შორის, საქართველოს რკინიგზის 2023 წლის 18 მაისის N2047 წერილისა და 2025 წლის 23 დეკემბრის N5987 წერილის პირობები.

I) საქართველოს რკინიგზის 2023 წლის 18 მაისის N2047 წერილის მოთხოვნები და პირობები

საქართველოს რკინიგზის ბალანსზე არსებული სარიგელო ანძების გამართულად ფუნქციონირებისა და სარემონტო აღდგენითი სამუშაოების უზრუნველყოფის მიზნით, განაშენინანების რეგულირების გეგმაში გათვალისწნებული იქნა მისასვლელი გზები, რომელიც უკვე რეგისტრირებულია საჯარო სერვიტუტის სახით. (დანართი 1)

მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გათვალისწნებულია ტერიტორიის შემოღობვა.- **წარმოგიდგენს რკინიგზის** 2026 წლის 11 ივნისის N00027450 **წერილს და დამოწმებულ გენ გეგმას ღობის მახასიათებლებით.**

ტერიტორიიდან უკვე გატანილია სს „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებაში არსებული 11 ერთეული ვაგონი. (დანართი 2, რკინიგზის წერილი).

II) საქართველოს რკინიგზის 2025 წლის 23 დეკემბრის N5987 წერილის პირობები:

ვინაიდან გორის ქუჩის მიმართულებით გვირაბის მოწყობის სამუშაოები (განკარგულების N26.1641.1798 მიხედვით) უნდა დაიწყოს მთლიანი სამშენებლო მოცულობის 50%-ის განხორციელების შემდეგ, ამ ეტაპზე საქართველოს რკინიგზის **N5987 წერილის გვირაბთან დაკავშირებული პირობების შესრულების ვალდებულება არ დგას.** განაშენიანების რეგულირების გეგმით ჯამური სამშენებლო მოცულობა შეადგენს 432 000 კვ.მ-ს, წარმოდგენილი შესათანხმებელი პროექტები N1(A ბლოკი AR11111925) და N2 (B ბლოკი AR11123204) N3 (C ბლოკი AR11114494) N6/7 (E ბლოკი AR11145318) N10 (F ბლოკი) N9 (G ბლოკი) შენობების ჯამური სამშენებლო მოცულობა შეადგენს N1(A ბლოკი) 32594.8 კვ.მ + N2 (B ბლოკი) 22561.7 კვ.მ + N3 (C ბლოკი) 32968,9 + N6/7 (E ბლოკი) 30973,6 + N10 (F ბლოკი) 14236,5 + N9 (G ბლოკი) 29583 =162 918,5 კვ.მ-ს, რაც სრული მოცულობის 37,7 %-ს შეადგენს.

III) შენობების განთავსების ადგილები ეყრდნობა ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო **გეოლოგიური დასკვნებისა და სკრინინგის ანგარიშებს,** რომელიც თან ერთვის საპროექტო დოკუმენტაციას. (წარმოდგენილია შესაბამის ველში).

საპროექტო შენობების ტერიტორიაზე არ ფიქსირდება მიწისქვეშა თავდაცვითი თავშესაფრები. - წარმოგიდგენთ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს 2026 წლის 18 ივნისის და 2026 წლის 21 აგვისტოს წერილებს და დამოწმებულ გენ გეგმებს.